1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდების (სტუდენტების) ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა-ნინო ჯავახიშვილისა და დავით ხახუტაიშვილის სახელობის სტიპენდია (სტიპენდიაზე წარდგენილი სტუდენტები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით, საშუალო არითმეტიკული 91 და მეტი ქულა. სტიპენდიანტებს სტიპენდია ეძლევათ კვარტალში ერთხელ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში). ასევე სტიპენდია ეძლევათ სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან და შშმ სტატუსის მქონე სტუდენტებს.	40-70	40-70	წლის განმავლობაში „დავით ხახუტაიშვილისა და ნინო აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის“- 175 წარმატებულ სტუდენტზე გაიცა		
2	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მქონე სტუდენტებისათვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება (ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვეს სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა- 100%. ერთ მოსწავლეზე გასაცემი ჯილდო არა უმეტეს 2000 ლარისა.)	3	5	ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% გრანტის მფლობელ 8 სტუდენტზე გაიცა 2000 ლარიანი ჯილდო		
3	უცხოეთის უმაღლეს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა			უცხოეთის უმაღლეს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლებლებში ჩარიცხული 10 სტუდენტისათვის თითოეულზე გაიცა 3000 ლ		

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	05 02 09	პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურული ობიექტების ინფრასტრუქტურის განახლება.	მიღწეული შედეგი	კულტურული ობიექტების განახლებული ინფრასტრუქტურა	

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილება ს მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოწერიგებული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები		2022 წელს განხორციელდება მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია	100 %		

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

5.1 ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის (06 01) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 2 068 200 ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2 023 037 ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 01	ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები
პროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია. ქობულეთის მუნიციპალიტეტის (უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობის შეზღუდვის რისკის შემცირება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება ქვეყნის	

	<p>სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის ქვეპროგრამები და ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:</p> <p>სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის; იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება; ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; პროგრამის მიზანია: ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, დაავადების სტაბილიზაცია, გამწვავებებისა და რეცივიდების თავიდან აცილება.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ბენეფიციარებს გაეწიათ დახმარება.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>06 01 01</p>	<p>იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება</p>	
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ფენილკეტონურია წარმოადგენს თანდაყოლილ იშვიათ გენეტიკურ დაავადებას, რომელიც დაკავშირებულია ამინომჟავების ცვლის დარღვევებთან და იწვევს ც.ნ.ს.-ისა და სხვა შინაგანი ორგანოების ღრმა დაზიანებას. ამ დაავადების მქონე პირები მთელი ცხოვრების მანძილზე საჭიროებენ დიეტოთერაპიას; კვებას კაზეინის ჰიდროლიზატის შემცველი ნარევებითა და მკურნალობას სხვადასხვა მედიკამენტებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვები ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად მარაგდებიან მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს. ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირები, არ სარგებლობენ შეღავათებით.</p> <p>გლუტენის ავადმყოფობა (ცელიაკია) ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც იწვევს საკვებში შემავალი გლუტენის პეპტიდები. ავადმყოფებს ესაჭიროებათ მუდმივი დიეტოთერაპია.</p> <p>იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 2 ბენეფიციარზე 2000 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით. გლუტენის ავადმყოფობით, ცელიაკიით დაავადებულ 6 ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.</p>		

დაგეგმილი შუალედური შედეგი	იშვიათი დაავადების მქონე პირთათვის მატერიალური დახმარების გაწევა	მიღწეული შედეგი	იშვიათი დაავადების მქონე პირებს გაეწიათ მატერიალური დახმარება
----------------------------	--	-----------------	---

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
1	ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით უზრუნველყოფა. 6 ბენეფიციარი	5	6	6	0
2	ცელიაკით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება მათთვის საჭირო დიეტური სამკურნალო ნარევებით უზრუნველყოფა. 6 ბენეფიციარი		6	6	0
3	დაავადების სტაბილიზაცია; ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. 9 პაციენტი	5	12	12	0

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, ვერ ხორციელდება მედიკამენტების უწყვეტად მიწოდება, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს. ირღვევა საფეხურებრივი და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების პრინციპი, რის გამოც შეფერხებულია ხანგრძლივი რემისიისა და სტაბილიზაციის შენარჩუნების შესაძლებლობა, რაც ხშირად ხდება პაციენტის მხრიდან ძალადობრივი ქცევის მიზეზად, როგორც საკუთარი თავის, ასევე ირგვლივ მყოფთა მიმართ.	

	წარმოდგენილი მიზნობრივი ქვეპროგრამა განაპირობებს მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა ჩართულობას ფსიქიატრიულ სერვისებში, ასევე ხელს შეუწყობს პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მძიმე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირთა ჩართვა ფსიქიატრიულ სერვისებში, პაციენტთა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება	მიღწეული შედეგი	მძიმე ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პირები ჩართულია ფსიქიატრიულ სერვისებში,

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ბენეფიციარის ოჯახურ სივრცეში და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაიოლება და გაუმჯობესება 50 პაციენტი	50	50	54	0%	
2	ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ფსიკური აშლილობის მქონე პირთა უწყვეტი სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა. 50 პაციენტი	50	50	54	0%	

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>06 01 04</p>	<p>სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება</p>	
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სამედიცინო მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ან არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით. დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.</p> <p>ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციებით ასევე დაფინანსდება 2021 წლის დეკემბერში და 2022 წლის განმავლობაში წარმოშობილი ვალდებულებები, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული იურიდიული დოკუმენტით.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით; შშმ პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილი); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტიშვილი) ოჯახის წევრები; ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლი პირები - სოციალური ქულით შეზღუდვის გარეშე; 2) 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები; 3) სარეიტინგო ქულის არმქონე ბენეფიციარები; <p>ქვეპროგრამის მიზანია ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება,</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ბენეფიციარებს დაუფინანსდათ სამედიცინო მომსახურება</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა. 1800 ბენეფიციარი	1069	1800	1648	8%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 01 05	ა(ა)იმ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი"
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იმ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან სოფლებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით საჭირო გახდა</p> <ol style="list-style-type: none"> პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 12 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა-კომუნალური და გათბობის ხარჯების გადახდა; ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით- მაღალი გამავლობის ავტომანქანით; ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმადელი სამედიცინო დახმარების ორგანიზება და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერა: <p>ა) ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა და ასევე 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მხცოვანი (80 წლის და მეტი) მწოლიარე ბენეფიციარების უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით; კერძოდ, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და შესაბამისად მოვლის საშუალებებს, რაც დასტურდება ცნობით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტი ფორმა - №IV- 100/ა).</p>	

	<p>ბ) მგრძობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიში, რომელიც „ტეტრაპარეზი“-ს, მგრძობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაეწევა პირებს, რომელთაც აქვთ „კვადრიპლეგია“(ოთხივე კიდურის დამბლა).</p> <p>გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება ოჯახს უწყდება 1 წლის ასაკის შესრულების მომდევნო თვიდან.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების, მათ შორის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა;</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შეძენისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, მოვლის საჭიროების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან მოვლის და დამხმარე საშუალებებით, ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახები ბავშვის შეძენისას მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	სოფლის მოსახლეობის ადგილზე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარების, მათ შორის მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა	509	680	629	7%	

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>06 01 07</p>	<p>მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა</p>	
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ „ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი“</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა Covid-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტების მიწოდება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია.</p> <p>აქედან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მოწყვლადი ოჯახებისათვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; მარტოხელა მშობლები და მათ შვილები; მარტოხელა ასაკით პენსიონერები - რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.</p> <p>ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, შშმპირი/ვეტერანი მათ მიეცემათ ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება. მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოსახლეობის მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება 3200 ბენეფიციარი	2750	3200	3080	4%	
2	მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება. მედიკამენტებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი.	2750	3200	3080	4%	

სოციალური დაცვის ღონისძიებები

5.2 სოციალური დაცვის ღონისძიებებისათვის (06 02) 2022 წელს გამოყოფილი იქნა 2 392 756 ლარის ასიგნება, დაფინანსებამ შეადგინა 2 369 798 ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02	სოციალური დაცვის ღონისძიებები			
პროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხელშეწყობა პროგრამა; და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.</p> <p>პროგრამის მიზანია: გარკვეული კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება</p>				
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება		მიღწეული შედეგი	გაუმჯობესდა მოწყვლადი ოჯახების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა	

ქვეპროგრამის კოდი	06 02 02	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკვდავოფის და სადღესასწაულო დღეების უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკვდავოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას. ქვეპროგრამას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავოფის შესახებ“ და ასევე 1995 წლის საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი „გ“, მუხლი 15, პუნქტი „გ“, მუხლი 16, პუნქტი „გ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“.</p> <p>საქართველოს კანონის “სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახებზე გამოიყოფა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 400 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. სამიზნე ჯგუფებისათვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავოფა. გარდაცვლილი ომის ვეტერანის პატივის მიცემა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. სამიზნე ჯგუფებისათვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავოფა. გარდაცვლილი ომის ვეტერანის პატივის მიცემა.</p>	მიღწეული შედეგი	<p>აღინიშნა უკვდავოფის და სადღესასწაულო დღეები. ვეტერანების ოჯახებს გაეწიათ ფინანსური დახმარება</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	უკვდავყოფის და სადღესასწაულო დღეების ორგანიზების რაოდენობა	5	5	5	0%	
2	ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიმღები ბენეფიციარის რაოდენობა	41	41	41	0%	
3	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	8	8	4	50%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 03	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვთა (8 ბენეფიციარი) მატერიალურ დახმარებას თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას</p>					
დაგეგმილი შუალედური შედეგი	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარებას თვითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით. მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.			მიღწეული შედეგი		

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა	8	8	8	0%	
2	მატერიალური დახმარების მიმღები უდედმამო ბავშვების რაოდენობა	8	8	8	0%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 05	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებამა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	ქვეპროგრამის ბიუჯეტი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. 2021 წლის შემოდგომაზე მოსულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა დიდი ზარალი მიაყენა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, მნიშვნელოვნად გაზარდა ქირის მიმღები ოჯახების რაოდენობა და საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. წინამდებარე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფართ უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში (ბინის ქირის ასანაზღაურებლად) კომპენსაციის მიღების უფლება აქვს:</p> <p>1) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ზღვის, წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლს ზვავი და სხვა) და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას და არ გააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი.</p>	

	<p>2) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი არ არის დანგრეული მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ზღვის, წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლს ზვავი და სხვა) საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ ქონებას, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას და არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი.</p> <p>3) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში, არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას, საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე.</p> <p>4) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით, მასში ცხოვრება შეუძლებელია და არგააჩნია ალტერნატიული თავშესაფარი.</p> <p>ალტერნატიული თავშესაფარად არ ჩაითვლება:</p> <p>1) ალტერნატიული ქონება, რომელიც მდებარეობს მაღალმთიან საკურორტო ზონაში (გომისმთა, ბახმარო, ბემუმი) და 2) ალტერნატიულ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც არის/იყო ქორწინების შედეგად შემატებული წევრის თანასაკუთრება ქორწინებამდე, არ წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას მოქალაქეებისთვის „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამით სარგებლობისას.</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფა უსაფრთხო თავშესაფარით</p> <p>სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილია კომპენსაციით</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებზე უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით გაიცა კომპენსაცია</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	კომპენსაციის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა. 210 ბენეფიციარი	165	215	195	9%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 07	მუნიციპალური უფასო სასადილო			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის დახმარება წარმოადგენს ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს. ქ. ქობულეთში მუნიციპალური უფასო სასადილო ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 320 ბენეფიციარს ერთჯერადი ცხელი საკვებით კვირაში 7-ჯერ (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული მენიუს შესაბამისად.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 320 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა</p>				
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 320 ბენეფიციარის ცხელი საკვებით უზრუნველყოფა კვირაში 7 დღეს, მათი მორალური მხარდაჭერა მარტოხელა პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაცულ იქნან ყოველდღიური გაჭირვებისაგან. მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული, ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფითი პირობების გაუმჯობესება.</p>			მიღწეული შედეგი	

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის საკვებით უზრუნველყოფა	300	320	320	0%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 10	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი მეტად მწირია, დიდ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი აირის შეყვანისათვის თანხის გაღება. ასევე მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური მხარდაჭერაა 0-დან 200 001 ჟულამდე ომის ვეტერანების ოჯახებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახების, 0-დან 200 001 ჟულამდე ომის ვეტერანებისა და 0-დან 200 001 ჟულამდე შშმ პირების ოჯახების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების - 40 ბენეფიციარის გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით.</p> <p>ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია 2021 წლის „ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების“ ქვეპროგრამაში ჩართული ბენეფიციარების გაზიფიცირების სამუშაოების დაფინანსება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში</p>	

დაგეგმილი შუალედური შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრებისა და 0-დან 200 000 ჟულამდე ომის ვეტერანებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.	მიღწეული შედეგი	განხორციელდა მოწყვლადი ოჯახების გაზიფიცირება
----------------------------	--	-----------------	--

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახების, 0-დან 200 001 ჟულამდე ომის ვეტერანებისა და 0-დან 200 001 ჟულამდე შშმ პირების ოჯახების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება	69	40	26	37%	გაზგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების ვადა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებით განისაზღვრა 60 სამუშაო დღით, რის გამოც შეიზღუდა წლის ბოლოს ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვა

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 11	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამათვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას. კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ჟულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1000 ლარი. ქვეპროგრამაში გათვალისწინებული იქნება დახმარების გაწევა იმ ოჯახებზე, სადაც 2021წლის დეკემბრის თვეში დაიბადა მე-3, მე-4 და მომდევნო შვილი და	

	<p>ასევე, იმ ოჯახებზე, რომლებმაც 2021წლის დეკემბრის თვეში მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მე-3, მე-4 და მომდევნო შვილის დაბადების გამო და აკმაყოფილებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება მე-3, მე-4 მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებასთან დაკავშირებით. მათთვის მორალური და მატერიალური მახარდაჭერა. სტიმულის მიცემა.</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	<p>სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ჟულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახები მესამე, მეოთხე, მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენისას უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.</p>	მიღწეული შედეგი	<p>მოწყვლადი ოჯახები მესამე, მეოთხე, მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენისას უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით.</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა	111	125	125	0	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 12	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმარებას თითოეულ ბავშვზე (სავარაუდოდ 38 ბენეფიციარი) თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების ზრდისა და განვითარებისთვის.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება. მათი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.</p>			
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით	მიღწეული შედეგი	მარტოხელა მშობლები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით	

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	29	45	44	1%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 13	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველპირთაგარდაცვალებისშემთხვევაში მათოჯახებზეერთჯერადიმატერიალური დახმარებისგაწევას. კერძოდ,</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001 -მდესარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის; 2. ერთჯერად დახმარებას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 100 001 -დან 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვის, covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალებისას. <p>ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 400 ლარს.</p> <p>ქვეპროგრამაშიასევე, გათვალისწინებულია უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაკრძალვა ხშირ შემთხვევებში ქმნის სერიოზულ პრობლემას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა</p>		
<p>დაგეგმილი შუალედური შედეგი</p>	<p>მოწყვლადი სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოწყვლადი ოჯახები ოჯახის წევრის გარდაცვალებისას უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით</p>

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	<p>covid-19 ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევაში გარდაცვლილთა ოჯახები უზრუნველყოფილი არიან დახმარებით მიცვალებულთა დაკრძალვისათვის</p>	105	125	125	0%	
2	<p>მოწყვლადი სოციალური კატეგორიის წარმომადგენლები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით</p>	105	125	125	0%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 14	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს</p> <ol style="list-style-type: none"> ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას (33 ოჯახზე) 1000 ლარის ოდენობით, ქვეპროგრამაში გათვალისწინებული იქნება ის ოჯახებიც, რომელთა შვილებსაც 2022 წელს შეუსრულდება 18 წელი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები), რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 65 001-მდე სარეიტინგო ქულით ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას (14 ოჯახზე) 500 ლარის ოდენობით, <p>ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღებისათვის მიმართული აქციების განხორციელება,</p>		
დაგეგმილი შუალედური შედეგი	მათთვის მორალური დამატერიალური მხარდაჭერა, სტიმულის მიცემა.	მიღწეული შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა. 47 ბენეფიციარი	34	47	47	0%	
2	5 და მეტი მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) და 0-დან 65 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა. 47 ბენეფიციარი	34	47	47	0%	

<p>ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>06 02 15</p>	<p>დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური</p> <p>ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტები არიან თირკმლის პათოლოგიის მქონე შ.შ. მ პირები, რომელთაც თვის განმავლობაში ესაჭიროებათ 12-13 პროცედურა და შესაბამისად ტრანსპორტირების ხარჯები, რისი საშუალებაც მათ არ გააჩნიათ. ასევე, „ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის მოსარგებლებია ბავშვთა ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილექსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე ბავშვები. ზემო აღნიშნული დაავადებების მქონე ბავშვებს უმეტეს შემთხვევაში უჭირთ ან არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება, შესაბამისად ოჯახებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს რეაბილიტაციის ცენტრებში სეანსების ჩასატარებლად სიარული.</p> <p>წინამდებარე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 60 ლარით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე 120 ლარით (სულ 70 ბენეფიციარი); 2. ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე 125 ბენეფიციარის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩასატარებლად მატერიალურ დახმარებას. ერთ ბენეფიციარზე გაიცემა 6 ლარი ერთ ვიზიტზე. <p>ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწყევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.</p>	

დაგეგმილი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის ბენეფიციარების კომპენსაციით უზრუნველყოფა. ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.	მიღწეული შედეგი	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტები და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან კომპენსაციით
----------------------------	--	-----------------	---

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტებითი
N	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	195	205	205	0%	

ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	06 02 16	მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით. სოციალური ასპექტების გათვალისწინებით პროგრამების ძირითადი განმახორციელებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.</p> <p>მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის, ხშირ შემთხვევაში, შემოსავლის ერთადერთი წყარო სოციალური სუბსიდიაა, რომელიც მხოლოდ აუცილებელ მოთხოვნილებებს უკმაყოფილებს. რაც შეეხება სიძველისაგან ამორტიზირებული სახლების მოვლა-პატრონობასა და გამაგრებას, მათი შემოსავლები მეტად მწირია რომ ასეთი სამუშაოები ჩაატარონ. ზოგ შემთხვევაში ასეთი ამორტიზირებული სახლები ინგრევა და ოჯახი თავშესაფრის გარეშე რჩება. შესაძლებელია ვიღაცის სიცოცხლეც კი შეიწიროს.</p> <p>ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მერამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაერთოს უკიდურესად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, რომელთა საცხოვრებელი სახლები ამორტიზირებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენას და მასში ცხოვრება მოსახლეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია, საცხოვრებელი პირობების მოგვარებაში, რათა ოჯახებს მიეცეს პრობლემის შემსუბუქების და სოციალური ფუნქციონირების</p>	

ამაღლებს პერსპექტივა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებულ იქნა „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა“ ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ოჯახებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით, რომელთა საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენა-რეაბილიტაციას,

მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, (პირველ ეტაპზე სავარაუდოდ 4 სახლის)

მუნიციპალიტეტის მერიის „მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის“ ქვეპროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ მოწონებული პროექტით და

გადაწყვეტილებით. ე.წ. „მცირეფართიანი საცხოვრებელის სახლის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში ოჯახები, რომელთა წევრების რაოდენობა არ აღემატება 5-ს, დაკმაყოფილდება 51,5 კვ.მ. ფართის, ხოლო 6 და მეტ წევრიანი ოჯახები 59,9 კვ. მ. ფართის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით.

ქვეპროგრამის ფარგლებში არ დაკმაყოფილდება სტიქიური მოვლენების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარეების ან ზღვის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, ჯდენადიგრუნტი და სხვა.) შედეგად დაზარალებული ოჯახები.

დახმარების მიღების წესი

საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება მოწყვლადი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა.

(ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პრაქტიკის გათვალისწინებით, საჭიროებების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით სოციალური კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ქულები აღებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებიდან).

კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც ოჯახების საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის განსაზღვრისათვის. ოჯახი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტში ჩართვის პროცესში.

მცირეფართიანი საცხოვრებელის სახლის მშენებლობის პროექტში ჩართვის კრიტერიუმები

№	სოციალური კრიტერიუმი	ქულა
ა	სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა 65001-ქულაზე ნაკლები (ქულა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრთა ნახევარი ან მეტი ფიქსირდება ერთი და იგივე მისამართზე სოციალური სააგენტოს ბაზაში)	0.5

ბ	ოჯახში არის 3 და მეტი 18 წელზე დაბალი ასაკის ოჯახის წევრი. 3-ზე –2 ქულა, ყოველ დამატებითზე 1 ქულა	შესაბამის ქულათა ჯამი	
ბ	მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/წევრები. მუდმივად მწოლიარე (0,5 ქულა), ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა (0,5 ქულა), ონკოლოგიური დაავადება (0,5 ქულა) (უნდა არსებობდეს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა. ონკოლოგიური დაავადების შემთხვევაში ფორმა №50/2)	შესაბამის ქულათა ჯამი	
დ	ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად (1,5 ქულა), მნიშვნელოვნად (1 ქულა) ან ზომიერად (0,5 ქულა) გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები	შესაბამის ქულათა ჯამი	
ე	მშობელი ან ქვრივი, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე (დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობები და სხვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი)	1	
ვ	ხანდაზმულ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად. (მეურვეობა/მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი)	1	
ზ	პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო და ოჯახი, რომელიც შედგება ხანდაზმული წევრებისგან. ოჯახი შედგება მხოლოდ ან ძირითადად (ნახევარზე მეტი) საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისაგან	1	
თ	ოჯახის შემადგენლობაში არის 7 და მეტი სული	1	

